

კრედიტორთა მოთხოვნის უფლების სამართლებრივი დაცულობის  
საკითხი სააქციო საზოგადოების დაშლისას

მარიამ ბერაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის, კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამაზე სამართლის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბერაძე

2024

## აბსტრაქტი

საქართველოში სააქციო საზოგადოება ერთ-ერთი რეგისტრირებადი იურიდიული პირია, რომელიც რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. წინამდებარე ნაშრომი ეხება კრედიტორთა მოთხოვნის უფლების სამართლებრივ დაცულობის საკითხს სააქციო საზოგადოებაში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაშლისა და ლიკვიდაციის გამიჯვნა და დაშლისას კრედიტორთა უფლების დაცვის საკითხების განხილვა.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ამავდროულად პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა, ვინაიდან აღწერილობით-მიმოხილვითი კვლევისას გამოჩნდა, რომ საზოგადოების დაშლისას ლიკვიდატორები უზრუნველყოფენ კრედიტორთა დაკმაყოფილებას, თუმცა იმ შემთხვევაში თუ პროცესში საზოგადოებას აქტივების მასა არ ეყოფა, დაიწყება გაკოტრების პროცესი, რაც მიმართულია პირდაპირ კრედიტორთა დაკმაყოფილებისაკენ. მეორეს მხრივ, მასში არსებული რანგირება ამცირებს შანსებს დაბალი რანგის კრედიტორთა დაკმაყოფილებისთვის, ასეთ შემთხვევაში კანონი მათ დაცვას ვეღარ უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, მათ დარჩათ მოთხოვნის უფლება, თუმცა არა აღსრულების საშუალება. იმევე მეთოდით გაიმიჯნა დაშლა და ლიკვიდაციის პროცესი და დადგინდა, რომ საერთო სამართლებრივი მიზნის მქონე სხვადასხვა პროცესია. ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდით კი თვალსაჩინო გახდა ცვლილებები, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონსა და „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონს შორის, რომელიც ეხებოდა გაკოტრების რეჟიმის ამოქმედებისას გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციის ფორმას. კვლევის მიხედვით, ახალი კანონით დარეგულირებულმა მრავალფეროვანმა რეალიზაციის ფორმამ მეტად უფრო მოქნილი გახადა კანონი და შეამცირა კრედიტორთა დაყოვნების ვადა.

წინამდებარე კვლევის შედეგით დადგინდა, რომ ნაკლებადაა ჩამოყალიბებული პრაქტიკა საზოგადოების დაშლასთან მიმართებით და აუცილებელია მისი რეგულირება, ამასთან დაშლისას მნიშვნელოვანია განცხადების წარმდგენი პირი იყოს უფლებამოსილი, სხვა შემთხვევაში დახარვეზდება და პროცესი გახანგრძლივდება.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს თითოეული ნაბიჯი საზოგადოების დაშლისას და კანონმდებლობის მხრივ უფრო მოქნილი და პრაქტიკული გახდეს ის.

**საძიებო სიტყვები:** სააქციო საზოგადოების დაშლა; ლიკვიდაციის პროცესი; კრედიტორთა მოთხოვნის დაცვა;

## **Abstract**

A joint-stock company in Georgia is registered legal entities regulated by the law of Georgia about entrepreneurs. This thesis addresses the topic of creditors' right to demand in a joint-stock company. The research aimed to differentiate winding-up and liquidation and discuss the issue of protecting creditors' rights.

The descriptive-evaluative research outlined that this issue represented one of the most crucial and problematic matters, as liquidators ensure creditors' satisfaction during the society's disintegration. However, if the society's assets become insufficient during the process, bankruptcy directed to creditors begins. Unlikely, the creditor ranking's existence decreases the lower-ranked creditors' satisfaction. Therefore, the law no longer provides security for those creditors, making the right to demand their only remaining ability. The research mentioned earlier helped differentiate the process of winding-up and liquidation and showed these are two distinctive processes that share lawful goals. Additionally, the historical-legal research defined changes regarding the form of the realization of the insolvency estate during the bankruptcy from the law of Georgia on insolvency proceedings to the rehabilitation and collective satisfaction of creditors law. According to this research, the various realization forms regulated by the new rule made the law more flexible and reduced the creditors' waiting time.

The thesis concluded that the practice regarding society dissolution is underdeveloped and needs further regulations. Additionally, a person making a written statement must have a right to do so. Otherwise, it will be faulty and delay the process.

According to the information above, each step should be acknowledged during the winding-up process to make it legislatively more flexible.

**Keywords:** joint-stock company winding-up; liquidation process; creditors' right to demand protection.